



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27.27222432

თარიღი:31/08/2022

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №17

31 აგვისტო 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 01/06/2022; 010250050.35.163.016567).

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პენსიონერებს;

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებული პირებს - დევნილებს;

3. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მონაცემთა ბაზის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანებს;

4. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.“.

2. დადგენილების მე-2 მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თელავის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურის“ ბენეფიციარებს;

10. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებს;

11. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავტორიზებული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.“.

3. ამოღებულ იქნეს დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი.

4. დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

ამ დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე პირთა მონაცემთა ბაზის განახლების მიზნით, ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი სუბიექტისათვის (ბარათის გამცემი) ან/და თელავის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ან/და ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახურისათვის“ შესაბამისი ინფორმაციის გვარტალურად მიწოდების უზრუნველყოფა ეთხოვოთ შემდეგ დაწესებულებებს:

- ა) ამ დადგენილების მე-2 მუხლის პირველი, მე-2 მე-4-მე-8 პუნქტებით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს;
- ბ) ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს;
- გ) ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურს“;
- დ) ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-10-მე-11 პუნქტებით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.“

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

